ხელშეკრულება:

შ.პ.ს. ვი-ჯი-ეს ნეთვორქი მომსახურების თაობაზე ქ.სამტრედია ----------

---------- ---------- აბონენტის ნომერი----------(შემდგომში დამკვეთი) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს ვი-ჯი-ეს ნეთვორქი(შემდგომში შემსრულებელი), ვდებთ წინამდებარე ხელეშეკრულებას.

1.1. შემსრულებელი დამკვეთს უზრუნველყოფს ინტერნეტით,შემდეგი პირობებით : ინტერნეტ პაკეტებს

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით შემდეგ პაკეტებს;

მინი 20 მბწ

20 ლარი

მინიმალური 4 მბ

დაყოვნება <400 მწმ, ჯიტერი <50

დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი <3%

ნორმალი 30 მბწ

25 ლარი

მინიმალური 10 მბ

დაყოვნება <400 მწმ, ჯიტერი <50

დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი <3%

ეკონომი 40 მბწ

40 ლარი

მინიმალური 8 მბ

დაყოვნება <400 მწმ, ჯიტერი <50

დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი <3%

ექსპრესი 50 მბწ

60 ლარი

მინიმალური 10 მბ

დაყოვნება <400 მწმ, ჯიტერი <50

დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი <3%

ვიპ 100 მბწ

100 ლარი

მინიმალური 20 მბ

დაყოვნება <400 მწმ, ჯიტერი <50

დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი <3%

2.1 <u>ხელშეკრულების ღირებულება</u>

2.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება 30 კალენდარული დღის განმავლობაში შეადგენს შესაბამისი პაკეტის არჩევის შედეგად ქვემოთ აღნიშნულ თანხას.

2.2 ინსტალაცია შედგება შემდეგი მოწყობილებობისაგან: ოპტიკურ ბოჭკოვანი მიმღები მოწყობილობა (ONU), რომელიც წარმოადგენს შემსრულებლის კუთვნილებას.

2.3 ოპტიკურ ბოჭკოვანი მიმღები მოწყობილიბა (ONU), მოწყობილობა დამკვეთს გადაეცემა დროებით სარგებლობაში,ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

2.4 შემსრულებელი დამკვეთს გადასცემს მოწყობილობას დროებით სარგებლობაში,ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია ჩააბაროს მოწყობილობა სამუშაო მდგომარეობაში. დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში დამკვეთს დაეკისრება 150 (ასორმოცდაათი) ლარის გადახდა.

2.5 ინსტალაცია უფასოა,დამკვეთი იხდის წინასწარ სააბონენტო პაკეტის ღირებულებას, რომლითაც დამკვეთს გაუქტიურდება ინტერნეტი, პაკეტის ღირებულების და სხვა ინსტალაციისათვის საჭირო აქსესურების დაანგარიშების შემდეგ შესაბამისი დროით.

3. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

3.1დამკვეთი ვალდებულია:

3.1.1უზრუნველყოს შემსრულებლის მომსახურების დროული ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

3.1.2 ხელი არ შეუშალოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში;

3.1.3 მიაწოდოს შემსრულებელს აუცილებელი ცნობები, რომელიც შეეხება შემსრულებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განხორციელებას;

.

3.1.4 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთს მიაჩნია, რომ მას არ მიეწოდება შეთანხმებული ინტერნეტ-სიჩქარე, ინტერნეტის სიჩქარე გადაამოწმოს ვებ-გვერდებზე http://beta.speedtest.net ან http://speedtest.net ან/და http://test.vgs.ge/ და არასაკმარისი (შეთანხმებულ სერვის-პაკეტში განსაზღვრულ სიჩქარეზე სულ ცოტა 0,1 მბ-ით ნაკლები) სიჩქარის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც სტაბილურად არასაკმარისი ოდენობით მიეწოდება დამკვეთს, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე შემსრულებელს;

3.1.5 არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების სხვაგვარად გამოყენება, ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარება, ასევე, დაიცვას დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობ(ებ)ი ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. ასეთ შემთხვევაში, დამკვეთი უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად შემსრულებლის მიმართ წარმოქმნილ ნებისმირი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს.

3.1.6 ჯეროვნად და პირნათლად შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.2დამკვეთი უფლებამოსილია:

3.2.1 მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, ამ სფეროში დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;

3.2.2 თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა კომერციული, ასევე მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალული მიზნებისა;

3.2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.2.4 ნებისმიერ დროს მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული სერვის-პაკეტის გაუმჯობესება შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ;

3.3 შემსრულებელი ვალდებული მომსახურების ხარისხზე:

3.3.1 დღე-ღამის ნებისმიერ დროს, უზრუნველყოს დამკვეთისათვის შეთანხმებული სერვის-პაკეტით გათვალისიწინებული ინტერნეტის სიჩქარის მიწოდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამკვეთი სარგებლობს ისეთი ვებ-გვერდებით, რომელსაც გააჩნია ლიმიტირებული წვდომა, გადავსებულია ტრაფიკი ან არსებობს სხვა ისეთი ტექნიკური შეფერხება, რომელიც შემსრულებელზე არ არის დამოკიდებული;

3.3.2 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტით დადგენილი წესით შემსრულებელს შეატყობინებს შეთანხმებული სერვის-პაკეტით გათვალისწინებულ სიჩქარეზე ნაკლები (შეთანხმებულ სერვის-პაკეტში განსაზღვრულ სიჩქარეზე სულ ცოტა საიტზე www.vgs.ge მითითებული ზღვარზე ნაკლები) სიჩქარით ინტერნეტის მიწოდების თაობაზე, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს არსებული ხარვეზი და უზრუნველყოს დამკვეთისათვის იმ ინტერნეტის იმ სიჩქარის მიწოდება, რომელიც შეთანხმებულია სერვის-პაკეტით;

3.3.3 თუ შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.2 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრას, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს აუნაზღაუროს საათები/დღეები, როდესაც დამკვეთს მიეწოდება შეთანხმებული სერვის-პაკეტით გათვალისწინებულ სიჩქარეზე ნაკლები (შეთანხმებულ სერვის-პაკეტში განსაზღვრულ სიჩქარეზე სულ ცოტა საიტზე www.vgs.ge მითითებულ ზღვარზე ნაკლები) სიჩქარით ინტერნეტი შეთანხმებული სერვის-პაკეტის ღირებულების პროპორციულად იმავე დროის მიცემით ან ფულადი სახით (რომელიც შეიძლება დაემატოს დამკვეთის ყოველთვიურ სააბონენტოს ან/და გამოანგარიშებულ იქნას მომდევნო თვეში)

3.3.4 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად გასწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, განუხრელად დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ამ სფეროში დადგენილი სტანდარტები;

3.3.5 გაწეული მომსახურების ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს;

3.3.6 ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი მოცემულია დანართში და ოპერატორის ვებგვერდზე. ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ინტერნეტ სიჩქარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე არაპიკის საათებში მუდმივად და პიკის საათების 90% ან მთელი დღის 95% შემთხვევაში. პიკის საათის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში 4 საათზე მეტი.

3.3.7 თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან ოპერატორის მხარესაა, ოპერატორი ვალდებულია აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და ნაკლოვანებები და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთარსებული რესურსების გამოყენებით, გონივრულ ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ დაზიანების აღდგენისათვის საჭიროა დაზიანების ადგილზე მისვლა, მისვლის დრო შეთანხმდება აბონენტთან და იმოქმედებს დაზიანების აღმოფხვრის განსხვავებული ვადა.

3.3.8 თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარესაა ან გამოწვეულია აბონენტის ქმედებით, ოპერატორი არ არის ვალდებული აღმოფხვრას ამგვარი დაზიანება. ასეთ შემთხვევაში, ოპერატორის და აბონენტის შეთანხმებით შესაძლოა დაზიანება აღმოფხვრას ოპერატორმა. ასეთი დაზიანების აღმოფხვრის საფასური განისაზღვრება დაზიანების ტიპის დადგენისა და მოკვლევის შედეგად, ინდივიდუალურად, ოპერატორის მიერ. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, დაზიანების დადგენისა და მოკვლევის მიზნებისათვის ოპერატორის ტექნიკური პერსონალის გამოძახება შესაძლოა იყოს ფასიანი. მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების დრო დაითვლება აბონენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ოპერატორის შეტყობინების მომენტიდან მის აღმოფხვრამდე.

3.4 შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.4.1 მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

3.4.2 საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შემსრულებლის პირადი მონაცემების გადამოწმება, გამოითხოვოს და/ან გადასცეს იგი მესამე პირებს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად;

3.4.3 დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დათმოს ასეთი მოთხოვნა მესამე პირის სასარგებლოდ და გადასცეს მას დამკვეთისა და მისი დავალიანების შესახებ მონაცემები;

3.4.4 გამოაქვეყნოს ვებ-გვერდზე მომსახურების შესახებ დამატებითი რეგულაცია, რეგლამენტი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც იურიდიული ძალის მქონეა მისი გამოქვეყნებისთანავე და დამკვეთისთვის სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს წარმოადგენს მისი გამოქვეყნების შემდეგ დამკვეთის მიერ 1 ლარის გადახდის შემთხვევაშიც კი;

3.4.5 გამოიყენოს დამკვეთის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო ინფორმაცია სარეკლამო ან სხვა ნებისმიერი კანონიერი მიზნებისათვის;

3.4.6 დამკვეთს მოსთხოვოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3.4.7 მხარეები ვალდებულები არიან წინამდებარე ხელშეკრულებასა და მის პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება, ხარვეზი, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი ინფორმაციის მირებიდან 03 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ეს ხარვეზი არაუგვიანეს 03 (სამი) სამუშაო დღისა.

3.4.8 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის კონფიდენციალურ შეთანხმებას და დაუშვებელია მისი პირობების გაცნობა მესამე პირებისათვის. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შინაარსის მესამე პირისათვის განდობის/გადაცემის შემთხვევაში, გამცემი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. წინამდებარე პუნქტით

გათვალისწინებული პირობა არ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის განდობა/გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3.4.9 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს დამკვეთისათვის მომსახურების (ინტერნეტის) მიწოდება პროფილაქტიკური ან/და ტექნიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით, თუ არსებობს ასეთი საჭიროება.

4. ფორს-მაჟორი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულების გამო,თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა,რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის, ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

4.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი(და არა მხოლოდ):

სტიქიური უბედურობანი(ხანძარი,წყალდიდობა,მიწისძვრა,შტორმი და სხვა.).გამოცხადებული, ან გამოუცხადებული ომი,სამოქალაქო არეულობა,ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები,საგანგებო მდგომარეობა,ეპიდემიები,ბლოკადა, ან ნებისმიერი ემბარგო.ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ, ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა დაპირობებს.

4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. საზღაური მომსახურებისათვის:

5.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს მომსახურების სააბონენტო გადასახადს 30 კალენდარულ დღეზე.

5.2 გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით, უნაღდო ანგარიშსწორების სახით.

5.3 შემდგომი თვის სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე დამკვეთს გაეთიშება ინტერნეტ მომსახურეობა.

5.4 მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ სააბონენტო და სხვა დავალიანების გადახდისას და ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ საწყის თარიღს.

5.5 მინიმალური გადასახადი შეადგენს 10 (ათი) ლარს განურჩევლად პაკეტისა,რის შედეგადაც ჩაგერიცხებათ პაკეტის ღირებულების დაანგარიშების მიხედვით შესაბამისი დღეები. დაანგარიშება მოხდება პაკეტის შესაბამისად.

5.6 თავდაპირველად შერჩეული მომსახურების პაკეტის ცვლილება შესაძლებელია ახალი დანართის გაფორმების გარეშე, ოპერატორის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა ფორმით.

5.7 სააბონენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია პორტალის ან ოპერატორის ვებგვერდის ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებით. ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად მესამე პირების სერვისის გამოყენებისას, სერვისის საფასური და პირობები დგინდება ასეთი სერვისის გამწევი კომპანიის მიერ და იგი სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

6.1 შემსრულებელი არ აკისრებს სხვა რაიმე დამატებით ხარჯებს დამკვეთს თუნდაც სამი და სამზე მეტი კალენდარული თვის გადაუხდელობის შემთხვევაში

6.2 კომპანია იტოვებს უფლებას წლიური საანგარიშო პერიოდიდან სამი თვის სააბონენტოს გადაუხდელობის გამო შეწყვიტოს დამკვეთთან ხელშეკრულება.

6.3 თუ წლიური საანგარიშო პერიოდიდან სამი თვის არ გადახდის შემთხევაში დამკვეთს არ სურს ხელშეკრულების შეწყვეტა,მესამე თვიდან, ყოველ დამატებით თვეზე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე შეუძლია გადაიხადოს 5 ლარი,ვალდებულების შეუსრულებლობის პირგასამტეხლო.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

7.1.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 01 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში.

7.1.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, იგი ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით. აღნიშნული პირობა მოქმედებს ყოველი ვადის ამოწურვისას.

7.1.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

7.1.4 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

7.1.5 აბონენტის მოთხოვნით;

7.1.6 ოპერატორის მიერ, მომსახურების/ტექნოლოგიის გაუქმების ან მოდიფიცირებისას;

7.1.7 შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, 10 (ათი) დღით ადრე მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

7.1.8 შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, დამკვეთის მიერ წლიური საანგარიშო პერიოდიდან სამი თვის სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში.

7.1.9 წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის დღიდან, დამკვეთს წარმოეშობა წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობების ამავე ხელშეკრულების 2.4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაბრუნების ვალდებულება, ხოლო აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელს წარმოეშობა იმავე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებამოსილება, ხოლო დამკვეთს - მისი გადახდის ვალდებულება.

7.2 დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთს არ უბრუნდება მის მიერ წინასწარ გადახდილი სააბონენტო გადასახადი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც მიიღეს ამავე ხელშეკრულების ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ არ მიუღიათ საპასუხო შესრულება, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4 წინამდებარე ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ამავე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დარჩენილი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

7.5 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები არ არის გათვალისწინებული ამავე ხელშეკრულებით, მაშინ მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8. მოქმედი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

8.1 მხარები თანხმდებიან,რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში ამ ხელშეკრულების შინაარსი არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირებისათვის .გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა

8.2 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნები, განიხილება და საბოლოოდ გადაწყდება ერთი არბიტრის მიერ, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ა(ა)იპ „თბილისის საერთაშორისო ტრიბუნალის“ (TIT) საარბიტრაჟო წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე. (საარბიტრაჟო განხილვის ადგილი: ქ.თბილისი, TIT-ის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, ს/ნ: 405345951). მხარეები, არბიტრაჟთან ურთიერთობისათვის გამოიყენებენ არბიტრაჟის შემდეგ ელ. ფოსტას: info@titribunal.com. თუ მხარის ადგილსამყოფელი

უცნობია ან მისთვის საარბიტრაჟო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რაც არ წარმოადგენს კონფიდენციალურობის ანდა პერსონალური მონაცემების შესახებ დადგენილი წესების დარღვევას.

8.4 ან ნებისმიერი სხვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, რომელსაც კომპანია შეარჩევს

9.მომსახურების/ხელშეკრულების პირობების ცვლილება

9.1მომსახურების/ხელშეკრულების პირობები ან ტარიფები, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ნებისმიერ დროს - შეიცვალოს ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად მინიმუმ 30 დღით ადრე აბონენტის შეტყობინების საფუძველზე.

9.2 თუ ცვლილებების შედეგად იზრდება მომსახურების საფასური ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევა, ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინებით, განახლებული ინფორმაციის მიღების საშუალების მითითებით.

9.3 აბონენტი უფლებამოსილია ახალი პირობების ან ტარიფების ძალაში შესვლამდე, შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან შეწყვიტოს იმ მომსახურების სახეობა, რომელსაც ეხება ცვლილებები ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ აბონენტი გააგრძელებს მომსახურების შეცვლილი პირობებით მიღებას, მიიჩნევა რომ იგი სრულად ეთანხმება ცვლილებებს.

9.4 აბონენტი უფლებამოსილია გაიაქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული მისთვის სასურველი სატარიფო გეგმა/დამატებითი სერვისი. ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის მიერ შერჩეული სატარიფო გეგმის ან აქციის პირობების გაცნობის და გააქტიურების შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმით ქოლცენტრში დარეკვით, შეტყობინებით მაილზე vgsnetwork@vgs.ge. ინფორმაცია ტარიფის შეცვლის, აქციაში/სატარიფო გეგმაში ჩართვის პირობების შესახებ პერიოდულად ქვეყნდება ოპერატორის ვებგვერდზე.

9.5 აბონენტის ნების გამოვლენა შესაძლოა დადასტურდეს პორტალის, აპლიკაციის, საკონტაქტო მონაცემებიდან გამოგზავნილი შესაბამისი დასტურით და ნებისმიერი სხვა ფორმით. მომსახურების პაკეტის/დამატებითი სერვისის/მომსახურების პაკეტის აბონენტის მიერ შეცვლა/აქტივაცია გულისხმობს, რომ აბონენტი დეტალურად გაეცნო მის პირობებს და უპირობოდ ეთანხმება მათ.

9.6 იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ მუხლით დადგენილი წესით, ხელშეკრულების პირობები შესაძლებელია ოპერატორის მიერ ცალმხრივად შეიცვალოს, ოპერატორის ვებგვერდზე ქვეყნდება ხელშეკრულების ტესტის განახლებული ვერსია ცვლილებების თარიღების მითითებით და ამ ვერსიას ექნება უპირატესი ძალა მხარეთა შორის მანამდე მოქმედ ხელშეკრულებასთან მიმართებით.

10.გარდამავალი დებულებები

1.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და მიიღეს აღნიშნული პირობები.

1.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე, უქმდება მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა ზეპირი და წერილობითი შეთანხმება.

1.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

11.მხარეთა განცხადებები და გარანტიები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ:

11.1.1. ხელმომწერი პირები არიან ქმედუნარიანი პირები და არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

11.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას მოპოვებული იქნა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

11.1.3. წინამდებარე ხელშეკრულება იდება და ხელმოწერა სრულდება მის მიერ ნებაყოფლობით, მეორე მხარის ან მესამე პირის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

11.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დადება ან/და მისი შესრულება წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო ნორმებთან, საკუთარ წესდებასთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა ტიპის დოკუმენტებთან და ამასთან, არ იწვევს და არც შეიძლება გამოიწვიოს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

11.1.5. წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ წარმოშობს მესამე პირებისათვის ხელშეკრულებაზე შეცილების უფლებას;

11.1.6. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისთვის, მისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, ხოლო ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის შემდგომ, ასეთი გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, ის დაუყოვნებლივ შეატყობინებს აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს;

11.1.6. ის პირდაპირ ან არაპირდაპირ არ მონაწილეობს ნებისმიერი სახისა და ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულ რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში);

11.1.7. მისი ქმედება არ არის და არც შემდგომში იქნება მიმართული მეორე მხარის მოტყუებისაკენ. აღნიშნულის საფუძველზე მხარე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ან/და შესრულების მიზნით მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია არის ნამდვილი, ზუსტი და სრული. იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აღნიშნული გარემოება, მხარე ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს;

11.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისთვის მხარეთა მიერ მოპოვებული/დარეგისტრირებულია და ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნება - ყველა სავაჭრო ნიშანი, პატენტი, დომეინი და სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;

11.2. მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინებს მეორე მხარეს:

11.2.1. ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ამავე მუხლით გათვალისწინებულ განცხადებებსა და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა;

11.2.2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ან/და წარმოიშვება ლიკვიდაციის ან/და გადახდისუუნარობის საფრთხე;

11.3. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ მხოლოდ ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე;

11.4. შემსრულებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მის მიერ ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

11.5. შემსრულებელი იძლება გარანტიას, რომ არ არის დასაქმებული ან სხვა ფორმით არ არის დაკავშირებული შემსრულებლის იდენტური. მსგავსი ან/და მიმსგავსებული საქმიანობის მქონე ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან და ამასთან, იგი ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსკლუზიური პირობები იქნება მისი მხრიდან მკაცრად და განუხრელად დაცული.

11.6 შემსრულებელის და დამკვეთის დოკუმენტების, მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტების (ხელშეკრულებების, შეთანხმებების, განცხადებების, თანხმობების, მიღება-ჩაბარების აქტების და სხვ...) გაფორმებისას (ხელმოწერისას) გამოიყენებენ ხელმოწერის ტაბლეტს ან ოპერატორის მიერ შეთავაზებულ სხვა სახის ელექტრონული ხელმოწერის, თუ თანხმობის ელექტრონული/დისტანციური ფორმით გამოხატვის საშუალებას.

აბონენტის მიერ ხელმოწერის ტაბლეტით ან სხვა სახით შესრულებულ ელექტრონულ ხელმოწერას/დადასტურებას და ამ საშუალებით შექმნილ ელექტრონულ დოკუმენტს ენიჭება/აქვს პირადი ხელმოწერისა და მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები	შემსრულებელი:
პირადი ნომერი	შპს „ვი-ჯი-ეს ნეთვორქი“ს/ნ 438724490
სახელი გვარი	სამტრედია რუსთაველის 21
მისამართი:	WWW.VGS.GE
მობილური:	ტელ: 0322 05 42 42
	ელ.მისამართი: VGSNETWORK@VGS.GE
ხელმოწერა	

ტრანზიტული სატელევიზიო მომსახურების სამმხრივი შეთანხმება

დამტკიცებულია შპს „ტვ.ჯი“-ს მიერ
მიერ და ძალაში შედის
2018 წლის 1 ნოემბრიდან

N16950

წინამდებარე დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტს, ასევე „ტივიჯი“-ს მიერ მის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებულ მომსახურების პირობებს და მოქმედებს მასთან ერთად,ასევე „ტივიჯი“-ს და ინტერნეტ მომსახურეობის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას,ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს, იმ შემთხვევაში თუ არის წინააღმდეგობა ამ შეთანხმებასა და კანონქვემდებარე აქტების შორის გამოიყენება ეს უკანასკნელი.

ინტენრეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანია შპს „“ვი-ჯი-ეს ნეთვორქს- ს/კ 438724490

ხელმოწერის თარიღი: ----------

მომსახურების მიწოდების დაწყების თარიღი: -- ----------

1.1. მომსახურების მიმწოდებლის (შემდგომში „კომპანია“) მონაცემები:

ფაქტობრივი მისამართი	ზესტაფონი,სტაროსელსკის 1
ელექტრონული ფოსტა	Info@tvg.ge
ინტერნეტ გვერდი	tvg.ge
გადახდის ფორმა	წინასწარი

1.2. ინტერნეტ პროვაიდერი, რომეიც მომსახურებას აწვდის აბონენტს:

ფაქტობრივი მისამართი	——
საკონტაქტო ანუ ცხელი ხაზის ტელეფონი	——
ელექტრონული ფოსტა	——
ინტერნეტ გვერდი	———

1.3. მომსახურების მიმღები პირის (შემდგომში „აბონენტი“) პერსონალური მონაცემები:

აბონენტის სახელი,გვარი / საფირმო სახელწოდება	
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი	
მომსახურების მიწოდების მისამართი	
ფაქტობრივი/რეგისტრაციის მისამართი	
ელექტრონული ფოსტა	
საკონტაქტო ნომერი	
აბონენტის საიდენტიფიკაციო ნომერიID	
აპლიკაციის ID	

2. მომსახურების შინაარსი და სატარიფო გეგმა ეროვნულ ვალუტაში (ლარში)

სატელევიზიო პაკეტის შემადგენლობა და ფასი მოცემულია ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის ვებგვერდზე.

აბონენტი თანახმაა რომ სატელევიზიო პაკეტების შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს (დაემატოს, გაითიშოს ან ჩანაცვლდეს არხები) ნებისმიერ დროს, სხვა დანარჩენი პირობების შეცვლით ან უცვლელად (კომპანიის ცალმხრივი გადაწყვეტილებით), რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე (გარდა ფასის უცვლელად არხების დამატებისა), ხოლო ტარიფისცვლილების თაობაზე აბონენტს ეცნობება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, პირობების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შესაძლოა გაეცნოს ინტერნეტ გვერდზე: www.tvg.ge ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 322500099

მხარეები ადასტურებენ, რომ მიღება-ჩაბარების დოკუმენტზე ხელმომწერი პირები არიან მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საინსტალაციო სამუშაოების/მომსახურების აპარატურის მიღება-ჩაბარებას(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მომსახურებისთვის გამოყენებული აპარატურის გადაცემის ფასის, გამოყენების და ა.შ. შესახებ დოკუმენტს, ინტერნეტ პროვაიდერი და აბონენტი აფორმებენ სხვა შეთანხმებით, რომელიც არ არის ამ შეთანხმების ნაწილი.

3. მომსახურეობის გადახდა

სატელევიზიო მომსახურეობის გადახდა ხდება ინტერნეტის ღირებულებასთან ერთად.

აბონენტის ხელმოწერა

კომპანია შპს „ვი-ჯი-ეს ნეთვორქს“

_____

პასუხისმგებელი პირი:ვახტანგ ჩიგოგიძე

_____

ხელმოწერა

საქართველო, ქ. სამტრედია **თარიღი:**

4. მხარეები

4.1. ინტერნეტ პროვაიდერის (შემდგომში „კომპანია“) მონაცემები:

დასახელება	შპს “ვი-ჯი-ეს ნეთვორქი” ს/კ 438724490
ფაქტობრივი მისამართი	სამტრედია
საკონტაქტო ანუ ცხელი ხაზის ტელეფონი	0322 054242
ელექტრონული ფოსტა	VGSNETWORK@VGS.GE
ინტერნეტ გვერდი	WWW.VGS.GE
საბანკო ანგარიში ,საქართველოს ბანკი	GE28BG0000000343778200GEL
საბანკო ანგარიში , თიბისი ბანკი	

4.2. მომსახურების მიმღები პირის (შემდგომში „აბონენტი“) პერსონალური მონაცემები:

აბონენტის სახელი,გვარი / საფირმო სახელწოდება	
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი	
მომსახურების მიწოდების მისამართი	
ფაქტობრივი/რეგისტრაციის მისამართი	
ელექტრონული ფოსტა	
საკონტაქტო ნომერი	
აბონენტის საიდენტიფიკაციო ნომერი	

5. მომსახურების შინაარსი და სატარიფო გეგმა ეროვნულ ვალუტაში (ლარში)

დასახელება	მოწყობილობა	რაოდენობა(ცალი)	ღირებულება (ლარი)
ანდროიდ ტვ ბოქსი			
კაბელი			
ინსტალაციის ღირებულება (ერთჯერადად გადასახდელი თანხა, რაც მოიცავს			
Onu ინტერნეტ მოდემი			
სულ ღირებულება			

ხელმოწერით აბონენტი ადასტურებს რომ განხორციელდა აბონენტისთვის სატელევიზიო მომსახურებისთვის განკუთვნილი, პუნქტი2_ით გათვალისწინებული ძირითადი და დახმარე ტიპის ''ტექნიკური მოწყობილობების'' გადაცემა სრულად;

მხარეები ადასტურებენ, რომ მიღება-ჩაბარების დოკუმენტზე ხელმომწერი პირები არიან მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საინსტალაციო სამუშაოების/მომსახურების აპარატურის მიღება-ჩაბარებას.

აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურა შეინახოს და მოუაროს, ისე როგორც საკუთარს. აბონენტს ეკრძალება მომსახურების აპარატურის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით მოდიფიცირება, მათ შორის, საგარანტიო ლუქის მოხსნა, მოწყობილობებისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი სახის ცვლილება, მიუხედავად იმისა, იწვევს თუ არა ლუქის მოხსნა, ან ცვლილება სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურის დაზიანებას.

მომსახურების აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს დაზიანებული მომსახურების აპარატურის საკომპენსაციო თანხა შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებ-გვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად.

მომსახურების სარგებლობის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია შეწყვეტიდან 30 დღის ვადაში დაუბრუნოს ოპერატორს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულია გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებ-გვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად.

ოპერატიულობის მიზნებისათვის ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მომსახურების აპარატურის დემონტაჟი, რომელ შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას კომპანიის წარმომადგენელი მომსახურების მიღების ფართზე, აპარატურის დემონტაჟისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი მომსახურების აპარატურის დაბრუნებაზე ოპერატორთან განხორციელებული კომუნიკაციისას განაცხადებს, რომ :

1. იგი არ დააბრუნებს მომსახურების აპარატურას და არც მომსახურების ფართზე დაუშვებს ოპერატორს - მომსახურების აპარატურა ჩაითვლება განადგურებულად, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია, შესაბამისი უარის გაცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებ-გვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად ;
2. მას უკვე დაბრუნებული აქვს მოთხოვნილი მომსახურების აპარატურა, აბონენტი ვალდებული იქნება აღნიშნული განცხადების გაკეთებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს ოპერატორის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურების აპარატურა ჩაითვლება არ დაბრუნებულად და მისი 10 კალენდარული დღის ვადაში არ დაბრუნების შემთხვევაში, აბონენტს წარმოეშვება ვალდებულება, 10 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებ-გვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად;
3. მოთხოვნილი მომსახურების აპარატურა წარმოადგენს მის საკუთრებას - ოპერატორის მიერ აბონენტისათვის მათ შორის დადებული იმ მიღება-ჩაბარების დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს მოთხოვნილი მომსახურების აპარატურის აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტს, ჩაითვლება, რომ მოთხოვნილი მომსახურების აპარატურა აბონენტისათვის გადაცემულია დროებით სარგებლობაში და მისი 10 კალენდარული დღის ვადაში არ დაბრუნების შემთხვევაში, აბონენტს წარმოეშვება ვალდებულება, 10 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებ-გვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად.

აბონენტის ხელმოწერა	კომპანია შპს“ვი-ჯი-ეს ნეთვორქი”
_____	პასუხისმგებელი პირი: ვახტანგ ჩიგოგიძე
_____	ხელმოწერა